წერილის ნომერი: **36-01243462596**
თარიღი: **11/12/2024**

ადრესატი: ირმა ნადიბაიძე
პირადი ნომერი: 01011075965
მისამართი: ვარკეთილის ზ/პ; კორპუსი: 10; ბინა No: 128

ქალბატონო ირმა,

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობაში 2024 წლის 18 ნოემბერს შემოსული თქვენი N 19/01243232093-36 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ დროებითი საცხოვრებელი ფართით სარგებლობისათვის ქირის კომპენსაციის მიღებას, გაცნობებთ, რომ გამგეობა აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად მოქმედებს „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის" ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N 35-101 დადგენილების მე-2 მუხლით განსაზღვრული კომპენსაციის მიმღებ პირთა ჩამონათვალით: "ქვეპროგრამის ფარგლებში კომპენსაციის მიღების უფლება აქვს: ა) ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ იმ პირს, რომელსაც საკუთრებაში ან მფლობელობაში გააჩნია ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე არსებული დანგრეული ან სხვადასხვა გარემოების შედეგად საცხოვრებლად გამოუსადეგარი სახლი (შემდგომში – ამორტიზებული ფართი), თუ პირი ამ საცხოვრებელ სადგომში ცხოვრობდა უშუალოდ მის ამორტიზებამდე, ამასთან მას და მისი ოჯახის წევრს საქართველოს ტერიტორიაზე არ გააჩნია სხვა საცხოვრებლად ვარგისი ფართი/ან სხვა სახის უძრავი ქონება საკუთრებაში და მოცემული მომენტისათვის არ აქვს დროებითი საცხოვრებელი ფართით სარგებლობისათვის ქირის გადახდის საშუალება და განცხადების წარდგენის მომენტამდე ბოლო ერთი წლის განმავლობაში რეგისტრირებული მისამართი ჰქონდა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე."

ზემოაღნიშნული პროგრამის ეფექტურად წარმართვის უზრუნველსაყოფად, საკითხების შესწავლის და რეკომენდაციების მომზადების მიზნით შექმნილი საკონსულტაციო - სათათბირო ორგანოს - საბჭოს მიერ განხილულ იქნა თქვენი განცხადება და მისი გადაწყვეტილებით უარი გეთქვათ თხოვნის დაკმაყოფილებაზე, რადგან ვერ აკმაყოფილებთ 2023 წლის 28 დეკემბრის N 35-101 დადგენილების მე-2 მუხლში განსაზღვრული კომპენსაციის მიმღებ პირთა ჩამონათვალის მოთხოვნებს.

პატივისცემით,

დავითი ხაბეიშვილი

ისნის რაიონის გამგეობა-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე(გამგებლის მოადგილე-სოციალური პროგრამების მიმართულებით)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი